რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში 1740-1750-წლებში

ზაურ გუმაშვილი, შალვა ჭკადუა
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თელავი, საქართველო
E-mail: zaur.gumashvili@tesau.edu.ge; rector@tesau.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.09

შესავალი. XVIII სკ-ის 30-იანი წლებისთვის აღმოსავლეთ კავკასიაში ნადირ შაჰი თავისი დიდი არმიით მიისწრაფოდა დაემორჩილებინა დაღესტანი და გაეგრძელებინა ჩრდილო კავკასიის სხვა ტერიტორიების დაპყრობა.

ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთის ვეებერთელა იმპერიამ დაწყებული ადიღეებიდან, დამთავრებული დერბენტით, ტერიტორიულად შეავიწროვა ჩრდილო კავკასიელი ხალხები და კავკასიის მთისწინა ადგილებში რუსული დასახლებები წარმოიშვა. ნებით თუ უნებლიედ, ჩრდილო კავკასიელები იძულებულნი გახდნენ მათთან სამეზობლო პოლიტიკა ეწარმოებინათ. ამას არსებული რეალობა კარნახობდა. ცხადია, ამიტომაც ისინი ამ რეალობის წინააღმდეგ ვერ წავიდოდნენ. ამიტომაა, რომ რუსი ისტორიკოსების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ამ ორ იმპერიულ სახელმწიფოს შორის, როგორიც მაშინდელი ოსმალეთი და რუსეთი იყო, თითქოს ჩრდილო კავკასიელებმა არჩევანი ამ უკანასკნელზე გააკეთეს და სიამოვნებით, საკუთარი სურვილით მიიწევდნენ მის შემადგენლობაში შესასვლელად. ეს სრული აბსურდია და მას რეალობასთან არანაირი კავშირი არ აქვს, რადგანაც კავკასიელისთვის ყველაზე დიდი ღირებულება თავისუფლე-ბისაკენ სწრაფვა იყო. ხოლო ოსმალეთი და რუსეთი მათთვის ორივე დამპყრობელი იყო და მათ შორის არჩევანის გაკეთება და წინააღმდეგობის გარეშე დანებება გამორიცხული იყო და არც მომხდარა. მაგრამ, როცა ისტორიული ანალიზის დროს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ჭეშმარიტების მიგნება, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ორ მტაცებელ სახელმწიფოს შორის უპირატესობა ბრძოლის ველზე რუსეთმა მოიპოვა, ვინაიდან მან ჩრდილო კავკასიელი ხალხებიც შეავიწროვა და მათ სიახლოვეს მთელი რიგი ტერიტორიები მიითვისა. ცხადია, ამიტომაც ეს ვითარება გახდა გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა ამ დამპყრობელი სახელმწიფოს მიერ სამომავლოდ, ჯერ კიდევ თავისუფალი ჩრდილო კავკასიელი ხალხების დამორჩილების საქმეში.

მეთოდი. კვლევა ეფუძნება ისტორიული ფაქტების რეალობის შემოწმებას ურთიერთშეჯერების გზით.

შედეგები . ჩრდილო კავკასიელების მიმართ რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას შეიძლება დავარქვათ ,,შოლტისა და თაფლაკვერის პოლიტიკა“. ისინი უმეტესი თემებისგან არ მოითხოვდნენ გადასახადის გადახდას და მათთვის სამხედრო სამსახურს და ა.შ. ამასთანავე, მოქმედებაში იყო საკმაოდ მკაცრი ტერიტორიული გამიჯვნა მთიელთა ტერიტორიებთან მიმართებაში. მთიელებს ეკრძალებოდათ სპეციალური საშვის გარეშე გადაეკვეთათ რუსული საზღვარი. განსხვავებული იყო შეზღუდვები ვაჭრობაში და ა.შ. რუსული პოლიტიკის აზრი და შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ შედარებით მშვიდობიანი საშუალებებით, მსხვილი

სამხედრო დაჯგუფებების გამოყენების გარეშე იძულებული გაეხადა მთიელები მიეღოთ რუსული მმართველობა. ამასთანავე, არ გამოირიცხებოდა მთიელთა წინააღმდეგ ცალკეული სამხედრო ექსპედიციების მოწყობაც. მაგალითად, 1732 წელს ციხე-სიმაგრე წმინდა ჯვრის კომენდანტის გენერალ დუგლასის მიერ გაგზავნილი იქნა ექსპედიცია დასახლება ჩეჩენ-აულის ასაღებად. როდესაც ამ დასახლებას მიუახლოვდა, მან აღნიშნული აულის ასაღებად გამოყო 300 ფეხოსანი და 200 კაზაკი, პოდპოლკოვნიკ კოხის სარდლობით. მართალია კოხმა გადაწვა ეს აული, მაგრამ თვითონაც დიდი ზიანი მიიღო, კერძოდ, 125 ჯარისკაცი გარდაცვლილი, ხოლო 75 დაჭრილი. 1758-1759 წლებში იგივე ჩეჩენ-აულზე თავდასხმა განახორციელა ყიზლარის კომენდანტმა ფონ ფრაუენდორფმა [АВК. Нальчик, 1974, გვ. 199].

თავის მხრივ, არც ჩეჩნები რჩებოდნენ ვალში: 1747 და 1749 წლებში მოხდა მათი თავდასხმა დასახლება შედრინსკაიაში და შელკოვსკაიაში, გაიძარცვა კრესტოვოდვიჟენსკის მონასტერი ყიზლარში. 1774 წელს გაძარცვეს დასახლება ნაურსკაია (ამჟამად ჩეჩნეთის რაიონის დასახლება). ამასთან, მხოლოდ მოზდოკის კაზაკური პოლკიდან გარეკეს ათასზე მეტი ცხენი. 1779 წელს განხორციელდა თავდასხმა სატრანსპორტო ჯგუფზე დასახლება კალინოვსკაიასთან. 1786 წელს გაიტაცეს თავადი ურაკოვი, რომელიც გაუშვეს სოლიდური გამოსასყიდის გადახდის შემდეგ.

მსჯელობა. როდესაც ვსაუბრობთ ჩრდილო კავკასიაში აღნიშნული პერიოდისათვის შექმნილ მდგომარეობაზე, უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებურებები, რაც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია ამ რეგიონისთვის. ჩრდილო კავკასია თავისი მრავალრიცხოვანი ეთნოსებით და ბევრად უფრო მეტი ფეოდალური მფლობელებით არ იყო იოლი გასასეირნებელი ველი არც მეზობელი და არც ბევრად დაცილებული დიდი სახელმწიფოებისათვის. აქაური მმართველები პოლიტიკაში გამოირჩევიან როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები, თუნდაც მხარის საბოლოო დამორჩილებამდე. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჩრდილო კავკასიის ფეოდალურ წარმონაქმნებს თავისი პოლიტიკის აშენება უწევდათ ერთდროულად ორი ფაქტორის გათვალისწინებით. ეს არის, უპირველეს ყოვლისა წინააღმდეგობები, დაპირისპირებები რეგიონალურ, ე.ი. კავკასიურ დონეზე, რომელიც დაკავშირებულია ცხარე ბრძოლებთან, რათა მოიპოვონ ლიდერობა, როგორც ცალკეული ხალხების ფეოდალურ წარმონაქმნებს შორის, ასევე, ერთი რომელიმე ხალხის შიდა დაპირისპირებებში (მაგ. საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლა ყაბარდოელ თავადებს შორის, ან კიდევ, დაპირისპირებები ვაინახურ თემებს შორის). გარდა ამისა, მათ პოლიტიკურ პროცესებში ძლევამოსილი სახელმწიფოების ჩარევა. ამ ორი ფაქტორის არსებობა, რომლებიც მოქმედებდნენ ერთდროულად და ყოველთვის სხვადასხვა მიმართულებით, ამ რეგიონში ვითარებას უფრო რთულს და არეულს ხდიდა, რომელიც ფეთქებად საშიშ ელფერს მუდმივად ინარჩუნებდა. ამ დაპირისპირებათა ერთობლიობა, რომელიც გაურკვევლობის გორგალს ქმნიდა ნებისმიერი საკამათო საკითხის გადაწყეტისას (პოლიტიკური, ტერიტორიული და ა.შ.) მხარეები მიჰყავდა გარდაუვალ დაპირისპირებამდე და სამხედრო შეტაკებებამდე. ამასთან, დაინტერესებულ მხარეს ყოველთვის ექმნებოდა შესაძლებლობა ადვილად მოეხდინა მოვლენების სამხედრო განვითარების პროვოცირება.

ამ სიტუაციაში ადგილობრივი ლიდერების პოლიტიკა თითქმის გარდაუვალი აუცილებლობით განაგრძობდა სვლას დაუსრულებელი ლავირებისაკენ ძლევამოსილი სახელმწიფოებისა და მეზობელთა პრეტენზიებს შორის. ის, რაც რუსეთისთვის და თურქეთისთვის წარმოადგენდა პოლიტიკურ ბრძოლას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობით, ადგილობრივი ხალხების შეგნებაში ეს გადაზრდილი იყო როგორც ყოველდღიური ბრძოლა საკუთარი გადარჩენისთვის. სწორედ ამიტომაც არ არის გასაკვირი ის, რომ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა ცდილობდა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში გამოეყენებინა ძლევამოსილი სახელმწიფოების დაინტერესება თავისი ინტერესების სასარგებლოდ. ამასთან ერთად, ნებისმიერი ერთი რომელიმე პრეტენდენტის

პოზიციის გაძლიერება ზოგადკავკასიური ჰეგემონიის მოპოვებისათვის, თითქმის ავტომატურად იწვევდა იმას, რომ მისი გუშინდელი მომხრეების უმრავლესობა ადგილობრივი მფლობელების რიგებიდან მყისიერად მიმართავდნენ დახმარებისათვის და მხარდაჭერისათვის ჰეგემონიისათვის მებრძოლ სხვა პრეტენდენტს. ეს პოლიტიკა შემუშავებული იქნა წვრილმანებისგან, ჯერ კიდევ შეტაკებებიდან, ადგილობრივი ინტერესების დონეზე, როცა ფეოდალური მფლობელები თითქმის ყოველთვის ქმნიდნენ დაჯგუფებებს დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობებით, რაც საბოლოო ჯამში შეიძლება გამომდგარიყო შემაკავებელ ფაქტორად და შესაძლებელს გახდიდა სტატუს-კვოს შენარჩუნებას. მაგრამ მსგავს პოლიტიკას ძლევამოსილი სახელმწიფოების მიმართ უმეტესწილად იქითკენ მიჰყავდა პროცესები, რომ ჩრდილო კავკასიის ტერიტორია აღმოჩნდებოდა ხშირად სამხედრო მოქმედებების არენის როლში. ადგილობრივი მოკავშირეების ერთგულებაზე გულაცრუებული რუსეთი, თურქეთი და ირანი სულ უფრო ხშირად მოიყვანდნენ ხოლმე მოქმედებაში თავიანთ სამხედრო ძალებს ადგილობრივი ხალხების მორჩილებაში მოყვანისათვის. ამრიგად, ჩრდილო კავკასიელი მმართველების სწრფვას, რომ გამოიყენონ ერთი ძლევამოსილი ქვეყანა, იმისათვის რომ მეორე ასეთივე ქვეყნისთვის პრობლემები შექმნან, პროცესები იქითკენ მიჰყავდა, რომ ეს ძლევამოსილი ქვეყნები უფრო დიდი დაინტერესებით ერთვებოდნენ მხარის საკითხების გადაწყვეტაში. ადგილობრივი მმართველები ზოგჯერ ერთდროულად რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან აფორმებდნენ ქვეშევრდომობას და ამით ქმნიდნენ სიტუაციას, როდესაც ერთ-ერთი მათგანის ქმედებაზე მათ შეძლებოდათ ,,კანონიერ საფუძველზე“ წარედგინათ საჩივარი მეზობელი დედაქალაქის შესახებ და უპირველესად თუ გავიხსენებთ, რომ რუსების მიერ ჩრდილო კავკასია მთლიანობაში დაპყრობილი იქნა 300 წლის განმავლობაში, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ჩრდილო კავკასიელი მმართველების საგარეო პოლიტიკა იყო საკმაოდ ეფექტური. ამასთან ერთად, ეს პოლიტიკა, რომელიც მთლიანობაში დაფუძნებელი იყო ძლევამოსილი სახელმწიფოების დაპირისპირებაზე, იყო სრულიად უპერსპექტივო ისტორიული თვალსაზრისით, რადგანაც ადრე თუ გვიან დადგებოდა ის დრო, როცა პოლიტიკური ინტრიგა უძლური აღმოჩნდებოდა სასტიკი ძალის წინაშე.

პოლიტიკის ეფექტურობა ყოველთვის არ ნიშნავს მის პერსპექტიულობას. ადგილობრივი მმართველების პოლიტიკამ მაშინ დაკარგა პერსპექტიულობა, როდესაც ადგილობრივი, რეგიონალური დაპირისპირებების მოსაგვარებლად დაიწყეს ძლევამოსილი სახელმწიფოების გამიზნულად მოხმობა - ჩართვა საქმეში. ისტორიული წყაროები ნათელს ხდიან იმ აზრს, რომ ჩრდილო კავკასიელი ლიდერების პოლიტიკა ძალზე იშვიათად ამაღლდებოდა ხოლმე ეროვნული თვითშეგნების, ან საერთო რეგიონალურ ინტერესებამდე. უფრო ხშირად მათ მართავდა პირადი და დინასტიური ინტერესები. ეს მაშინ, როცა იმჟამინდელი საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი სრულიად განსხვავდებოდა ადგილობრივი მმართველების ინტერესებისაგან, რადგანაც ეროვნული თვითშეგნება და დამოუკიდებლობა მათთვის მთავარ ღირებულებებს წარმოადგენდა და ამ ღირებულებებისადმი თავის გაწირვა საკუთარ მოვალეობად მიაჩნდათ, რაც მრავალჯერ დაუმტკიცებიათ. ხშირად როცა ადგილობრივი მმართველები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პირადი შეხედულებით ქვეშევრდომობის აქტზე ხელს აწერდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, ეს აბსოლუტურად არ ასახავდა ამ ხელისუფალის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების აზრს ან ნებას, რასაც შედეგად მოსდევდა საბოლოოდ ასეთი მმართველის განდევნა.

სხვა საკითხია, თუ რა ფასად უჯდებოდა მთიელებს ფაქტობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს ფასი მდგომარეობდა იმაში, რომ იმ პირობებში, როცა მიმდინარეობდა განუწყვეტელი საგარეო და საშინაო ომები, გამოიკვეთა ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი - ეროვნული განვითარების შენელება.

ახლა, როდესაც რუსეთის სახელმწიფომ რიგი მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა თავის უშუალო კონკურენტთან თურქეთთან ბრძოლაში, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ცალკეულმა მმართველებმაც არ დააყოვნეს და დაიწყეს დელეგაციების გაგზავნა პეტერბურგში. 1742 წელს პეტერბურგში ჩავიდა ყაბარდოელ თავადთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუხამედ სადიკოვი. მათი თხოვნა იყო რუსეთს დაეცვა ისინი ყირიმის ხანის თავდასხმებისაგან. პასუხად რუსეთის ხელმძღვანელობამ მათ მისცა პირობა, რომ არ მიატოვებდა და ისინი იქნებოდნენ დაცულები. ყაბარდოში გაგზავნილი იქნა რაზმი ბრიგადირ პ. კალცოვის ხელმძღვანელობით [АВПР. Ф. Кизлярские дела, Оп. 155/1. Д. 5. Л.23, 1746].

1747 წელს ყირიმს განუდგნენ თემირგოელები, აბაზიკები, ბჟედუხები, საპსიხები, უბიხები. ისინი სხვა ხალხებთან ერთად მზად იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ხანისათვის [КРО. М. т.2. გვ.143]. იმავე წელს რუსეთის ხელმძღვანელობამ თანხმობა მისცა მიეღოთ რუსული მფარველობის ქვეშ ოსები. 1748 წელს ასტრახანის გუბერნატორმა ბრილკინმა თანხმობა მისცა „ჩეჩნებსა და გრებენჩუკელებს“ დასახლებულიყვნენ „თავისუფალ ადგილებში“.

რუსეთის სახელმწიფოს ეს დაახლოება ჩრდილო კავკასიელებთან მიმდინარეობდა თურქეთის იმპერიის და ყირიმის ხანის გეგმების საწინააღმდეგოდ. ისინი ყველანაირი საშუალებით ცდილობდნენ (მათ შორის სამხედრო ძალითაც) ხელი შეეშალათ რუსეთისა და ჩრდილო კავკასიელი ხალხების დაახლოებისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგა ყირიმის ხანმა. მან 12 ათასიანი არმია გაგზავნა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. თუმცა თურქეთისა და ყირიმის ხანის ყველა მცდელობა თავის მიზანს ვერ აღწევდა.

1749-1752 წლებში პეტერბურგში ჩავიდა ოსეთის ელჩობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ზ. ელიხანოვი და XVIII საუკუნის ოსეთის სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეები [АВПР.Ф. Осетинское дело. оп. 128/2 1743-1752 Д.3. л.99]. პეტერბურგში ისინი აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ ელჩობის მთავარი ამოცანა იყო საკითხი ოსეთის რუსეთთან შეერთების შესახებ. მათ დადებითი პასუხი მიიღეს იმ რთულ სიტუაციაში, როცა თურქეთთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ელჩობა თავის მხრივ არწმუნებდა ხელმძღვანელობას, რომ ოსეთი მზად არის აუცილებლობის შემთხვევაში გამოეყვანა 30 ათასიანი არმია, იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღოთ თურქეთის სულთანისა და ყირიმის ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც რამდენადმე გადაჭარბებული ჩანდა.

მოლაპარაკებები დასრულდა იმით, რომ ცენტრალური კავკასიის მთისწინა ველები, მდინარეების არდონის და ფიაგდონის აუზები რუსეთის მიერ აღიარებული იქნა „თავისუფალ“ მიწებად. ამ მიწებზე ოსების გადასახლებას მხარს უჭერდა რუსეთის ხელისუფლება. მიღწეულ იქნა შეთანხმება ვაჭრობის შესახებ: ოსებს უფლება ეძლეოდათ ჩასულიყვნენ ყიზლარში და ასტრახანში და გადასახადის გარეშე ეწარმოებინათ ვაჭრობა.

XVIII სკ-ის შუა ხანებისათვის რუსეთის გავლენის ქვეშ შესვლა მოისურვეს ჩრდილო კავკასიის სხვა მმართველებმაც. მაგალითად 1750-1751 წლებში რუსეთის მფარველობას ითხოვდა ტარკის შამხალი ხასბულათ ტარკოვსკი. ხოლო 1753 წელს ამასვე ითხოვდა ავარეთის მმართველი მაგომედ-მუსა-ხანი და სურხაი-ხან ყაზიყუმუხელი [Там Же. Ф. Кумикские дела. оп.1. Д.1. л.1-3, 1757].

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ჩრდილო კავკასიის ყველა მაცხოვრებელი ორიენტირებული იყო რუსეთზე. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მისდევდნენ პროთურქულ ორიენტაციას, მათ რიცხვს მიეკუთნებოდნენ ადგილობრივი ისლამური სასულიერო წრეების წარმომადგენლები და ფეოდალები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები თურქეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებით და საჭირო დროს მიმართავდნენ თურქეთს დახმარებისათვის. მაგალითად, ენდერელთა მმართველი,

რომლის რეზიდენციაც მონათვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, ყირიმის ხანსა და თურქეთის სულთანს წერილებს უგზავნიდა თხოვნით, რათა გამოეგზანათ მისთვის სამხედრო დახმარება, იმისათვის, რომ მას აეღო დერბენტი და ბაქო. სწორედ ასეთივე პოლიტიკას ეწეოდნენ ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ზოგიერთი ფეოდალებიც, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ყირიმთან და თურქეთთან მონათვაჭრობის საქმეში. მაგრამ, ჩრდილო კავკასიაში იყვნენ ისეთი მმართველებიც, რომელთათვისაც უმთავრესი იყო დამოუკიდებელი პოლიტიკისა და ცხოვრების წარმართვა და ამისათვის ყველაფერს აკეთებდნენ, თუმცა, ეს საკითხი აღნიშნული პერიოდისათვის უმეტესწილად ურთულესად განსახორციელებელი ხდებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია და ამის თაობაზე უკვე აღვნიშნეთ, რომ XVIII ს-ის შუა ხანებისათვის ჩრდილო კავკასიაში ხშირად ხდებოდა ფეოდალური შიდა დაპირისპირებები. ამასთან, თითოეული დაპირისპირებული მხარე დახმარებისათვის მიმართავდა რუსეთს. მაგრამ როგორც კი კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელობა რომელიმე მხარეს მიანიჭებდა უპირატესობას, მეორე მხარე მაშინვე იწყებდა თურქეთის ან ყირიმის მხარდაჭერის მოპოვებას. ასე იყო ყაბარდოში, როცა წარმოიშვა დაპირისპირება კაშკატავკებსა და ბაქსანების საგვარეულოთა გაერთიანებებს შორის. გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ კაშკატაველთათვის მხარდაჭერა რუსების მიერ გამოიწვევდა თურქების უკმაყოფილებას, სახელმწიფო კანცლერმა ი. პ. ბესტუჟევრიუმინმა მიმართა კაშკატაველთა დაჯგუფების ყაბარდოელთა მმართველებს მოთხოვნით, რათა შეეწყვიტათ ბრძოლა. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქართლ-კახეთისთვის მხარდაჭერამ და დახმარებამ გამოიწვია დაღესტნის ფეოდალური მმართველების და მთლიანად აღმოსავლეთ კავკასიის უკმაყოფილება. ისინი ცდილობდნენ დაეთესათ ხალხში უკმაყოფილება და რუსეთის წინააღმდეგ ხალხის მასების გამოსვლისათვის ორგანიზება გაეკეთებინათ. ასეთ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1758 წელს ჩეჩნეთსა და ინგუშეთში [ЗТОЛКС. Владикавказ. № 11, გვ.101-102].

თუმცა, ეს ყველაფერი არ ცვლიდა ურთიერთობების განვითარების დინამიკას. ამ რეგიონის ცალკეული მმართველები ცდილობდნენ რუსეთთან ურთიერთობები დაელაგებინათ და უფრო მყარი გაეხადათ. აქაც საქმე დამოკიდებული იყო მმართველის მოხერხებულობასა და დიპლომატიაზე - ცბიერებაზე. ვინც ამას ახერხებდა, ის მოგებული რჩებოდა. მაგალითად, 50-80 -იან წლებში რუსულ-ოსურმა ურთიერთობებმა მრავალმხრივი მიმართულებები შეიძინა. პოლიტიკურ საკითხებთან ერთად ხდებოდა ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაც. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო ოსების რუსულ გამაგრებულ ზოლზე, საზღვრისპირა ტერიტორიაზე მთიდან გადასახლების საკითხი. ეკატერინე II ბრძანებულების (1762) თანახმად ოსებმა და ინგუშებმა მიიღეს უფლება გადასახლებულიყვნენ მთებიდან და დასახლებულიყვნენ მოზდოკისა და მეკენის მიჯნაზე, ვინაიდან ეს მიწები, მათი აზრით, მიეკუთვნება აქაურ საზღვრებს და დასახლებისთისაც მოსახერხებელია [АВПР.Ф. Кизлярско-Моздокское дело. оп. 118. 1762-1782г.г. д.1.л.18].

1763 წელს რუსულმა ხელისუფლებამ დაიწყო ამ ბრძანებულების ცხოვრებაში გატარება: მთიელთა ჩამოსახლებამ აქტიური ხასიათი შეიძინა. მათი დასახლება ხდებოდა მოზდოკის სიახლოვეს. ერთდროულად ხორციელდებოდა მოზდოკში ციხე-სიმაგრის მშენებლობაც და გამაგრებული ზოლის კიდევ უფრო გაძლიერება. ხდებოდა მთიელთა მოზდოკური სამხედრო გუნდის ჩამოყალიბება აქ ჩამოსახლებული გაქრისტიანებული მთიელებისგან. ეს ყველაფერი იმ დიდი გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. რუსეთმა კარგად იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ თურქეთთან სერიოზული დაპირისპირება მოუწევდა ამ რეგიონის დაუფლებისათვის და მთიელთა ჩამოსახლებაც მის პოლიტიკაში მზაკვრულ სვლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც აქ, ბარში, შენს სიახლოვეს მყოფი ადამიანის გაკონტროლება, მით უფრო, როცა ის შენს სამსახურშია ბევრად უფრო იოლი საქმე იყო,

ვიდრე მთაში, სადაც ადამიანისთვის თავისუფალი სუნთქვა სულ სხვანაირი შეგრძნებაა და ამ საქმეში მთებიც გეხმარებიან.

1764 წლისთვის უკვე მოზდოკში დაასახლეს 200 ადამიანი, უპირველესად ოსები და ყაბარდოელები. შემდეგ წლებში მთიელ დასახლებულთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა. რუსული ხელისუფლება, რომელიც მთიელთა ჩამოსახლების საქმეს დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა, ეხმარებოდა ჩამოსახლებულებს ფულით და ხდებოდა მათთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

ჩამოსახლებულთა უმეტესი ნაწილი შედგებოდა დამოკიდებული გლეხებისაგან. 1762 წლის ბრძანებულებით მათ მიართვეს ,,თავისუფლება" ერთი პირობით - უნდა მიეღოთ ქრისტიანობა. ე.ი. ყველანაირი ფორმის გამოყენება ხდებოდა მთიელთა რუსეთისადმი მორჩილებაში მოყვანისათვის.

XVIII სკ-ის 60-იან წლებში რუსეთმა სამხედრო-პოლიტიკური პოზიციების გამაგრებასთან ერთად დაიწყო ჩრდილო კავკასიაში თავისი ეკონომიკური გეგმების განხორციელებისაკენ ნაბიჯების გადადგმა.

1768 წელს რუსულმა მთავრობამ მოამზადა ექსპედიცია ოსეთში, რომელსაც სათავეში ედგა სტეფანე ვანიავინი. ამ მხარის დიდი გულისყურით შესწავლის შემდეგ ექსპედიციის წევრები მივდნენ მყარ დასკვნამდე, რომ აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით იყო ბუნებრივი რესურსები ტყვიის და ვერცხლის საბადოების სახით და ამასთანავე, აქ იყო ოქროს საბადო, რომლის რეზერვიც, მათი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით იქნებოდა განსაზღვრული. ამავე წლის ნოემბერში ექსპედიციის ხელმძღვანელმა ჩატარებული კვლევა-ძიების ანგარიში წარუდგინა თვით ეკატერინე II-ს.

დასკვნა. ამრიგად, რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში 1740-50-იან წლებში იყო იმ გეგმის ნაწილი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. თუმცა, თუ კი იმ პერიოდისათვის მეფის რუსეთი მოქმედებდა ფრთხილად და შენიღბულად, XVIII საუკუნისათვის მისი ქმედებები ღია იყო და საომარი ურთიერთობების თანხლებით მიმდინარეობდა. ამ პროცესს თან ახლდა კავკასიის მისადგომებთან რუსული მოსახლეობის (კაზაკების) მასობრივი ჩამოსახლება, რომელსაც რუსული სახელმწიფოს ვერაგი მიზნების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა და უნდა გამხდარიყო ჩრდილო კავკასიის ხალხთა დაპყრობის საქმეში რუსეთის მთავარი დასაყრდენი.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილო კავკასია, რუსი დამპყრობლები, ყირიმელი ხანები, პოლიტიკური ვასალიტეტი, გადასახადი.

ლიტერატურა

1. АВК. Нальчик. (1974). С. 199.
2. АВПР. Ф. Кизлярские дела. (1746). Оп. 155/1. Д. 5. Л.23
3. КРО. М. т.2. С.143
4. АВПР.Ф. Осетинское дело. оп. 128/2 1743-1752 Д.3. л.99
5. Там Же. Ф. Кумикские дела. (1757). оп.1. Д.1. л.1-3
6. ЗТОЛКС. Владикавказ. № 11. С.101-102
7. АВПР.Ф. Кизлярско-Моздокское дело. оп. 118. 1762-1782г.г. д.1.л.18

Zaur Gumashvili, Shalva Tchkadua
Iakob Gogebashvili Telavi State University
Telavi, Georgia
zaur.gumashvili@tesau.edu.ge
rector@tesau.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.09

Russia's Aggressive Policy in the North Caucasus during the 1740s and 1750s

Abstract

The treaty of peace concluded in Belgrade in 1739, which declared Kabardino-Balkaria a neutral barrier between Turkey and Russia, seriously complicated the foreign policy relations of the peoples of the North Caucasus. Turkey soon violated the terms of the truce and began active operations in the region, seeking to accelerate the conquest of the peoples of the North Caucasus. In the 1740s and 1750s, they launched devastating attacks on the Northwest Caucasus, thereby forcing the payment of tribute and recognition of the Adyghe's political vassalage. Accordingly, the Crimean khans began to take more active actions. The attacks of the Ottomans and the Crimean khans were accompanied by the violent spread of Islam among the mountain-dwellers. By increasing the tribute (which the Adyghe were forced to pay in captives and horses), they sought to establish their rule in other regions of the North Caucasus. According to C. Peyssonnel, the Crimean khans did everything possible to completely and utterly enslave this people.

Keywords: North Caucasus, Russian invaders, Crimean khans, political vassalage, tribute.